

ჰიტლერმა თავს არგენტინაში გაქცევით უშვედა? – აშშ საიდუმლოს ფარდას ხდის



გადაურჩა თუ არა ადოლფ ჰიტლერი ომს? სურ ახლახანს, ერთვნიური უსაფრთხოების მიზეზით აშშ-მ კიდევ 20 წლით, ხოლო ბრიტანეთმა 60 წლით დახურა ოფიციალური მასალები, რომლებიც ამ ამბავს ნათელს მოჰყენდნენ. არ არსებობს არც ერთი მოწმე, რომელმაც ნახა, რომ ფიურერმა

მართლაც დაღია ციანიდი და თავში ტყვია დაიხადა. სტალინს სიკვდილამდე არ სჯეროდა, რომ ჰიტლერმა თავი მოიკლა, რის შესახებ 1945 წელს მოკავშირეებსაც განუცხადა.

ჰიტლერს სხვადასხვა დროს ეძებდნენ ესპანეთში, ლათინურ ამერიკასა და ანტარქტიდაშიც კი. ნუ თუ მოწმეებს ის ორეულებში ეშვებოდათ ან და ვისი გვამი ნახეს სინამდვილეში რაიხსტაგის ბუნკერში?

ორეულები

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, ჩეხეთის აღმოსავლეთით მდებარე პატარა სოფელ რიკოვის დუბანაში ნაცისტები გამარჯვებას ზეიმობდნენ – „ჩეხეთის ზენოლისგან სუდეტის ოქის გათავისუფლებას.“ დუდი უხვად მოედინებოდა, მუსიკა ჟღერდა და შეზარხოშებურმა გერმანელებმა საცეკვაო საღამოც გამართეს. გაგანია მხიარულების დროს დუბანის კარში სს-ის ფორმაში გამოწყობილი ადოლფ ჰიტლერი გამოჩნდა. ჯარისკაცები გაოცდნენ, ვერ გაეგოთ თუ რას უკავშირდებოდა ეს ვიზიტი. ერთ-ერთი სამხედრო როდესაც დარწმუნდა, რომ მართლაც ჰიტლერი იყო, ნაცისტური ჟესტით მიესაღმა: „ჰაიდ ჰიტლერ!“ დანარჩენებმაც მიბაძეს. მაგრამ

ჰიტლერს რეაქცია არ გამოუხატავს, მეტიც გაკვირვებული ჩანდა. მედუქნემ დაამშვიდა სტუმრები: „რას სურდობთ? ეს ხომ ფრანტა ჰორუბია, რკინიგზი კიშპერიდან.“ იმ საღამოს ეს სცენა მხოლოდ სიცილით არ დამთავრებულა. ფრანტა ჰორუბი ვარდოვიჰრადის გესტაპოში აღმოჩნდა, სადაც მას მკაცრი დაკითხვა მოუწყვეს. აინტერესებდათ, ვისი დავალებით მივიდა რუხანაში. სასტიკად აწამეს, კბილები დააძვრეს, ფრხილები დააგრიჯეს და მხოლოდ იმ პირობით გაუშვეს, რომ აუცილებლად შეიცვრიდა ვარცხნილობას და უღვაშს აღარ დაიყენებდა. თმის დამთავრების შემდეგ ფრანტა ჰორუბი დრამატურგებისა და რეჟისორებისთვის ძალიან მოთხოვნადი გახდა. [მისი შვილიშვილი ზღენა მიკოვა ამტკიცებს](#), რომ ბაბაუამისმა ჰიტლერის როლი ქართვერი რეჟისორის მიხეილ ჭიაურეის ცნობილ ფილმშიც „ფიცი“ შეასრულა. მას შემონახული აქვს ფოტოსურათები გადასაღები მოედნიდან. ჰიტლერის ორეჟმა მარავარჯერ განასახიერა ფიურერის როლი, მას ჰორივუდიდანაც მოუვიდა მოწვევა, თუმცა იქ წასვლა სიკვდილი არ დააცადა.

აღნიშნული ფაქტი იმაზე მოწმობს, რომ ჰიტლერს არაერთი ორეჟი ჰყავდა. ორეჟებმა კი, შესაძლოა მის მაგივრად იგემეს სამარცხვინო სიკვდილი.

არგენტინელი მკვლევარი აბელ ბასტი მიიჩნევს, რომ ჰიტლერმა სიცოცხლე 1964 წელს პარაგვაიში, ოჯახის წრეში დაასრულა.



გუსტავ მიდერი

www.youtube.com

არსებობს ვერსია, რომ რაიხსტაგის ბუნკერში ნაპოვნი გვამი ჰიტლერის ორეჟს და მის შორეულ ნათესავ გუსტავ მიდერს ეკუთვნოდა. ჰიტლერს რამოდენიმე ორეჟი ჰყავდა, რომლებიც მის მაგივრად

ესწრებოდნენ სამხედრო აღღუმებს, ფოტოსურათებს იღებდნენ ბავშვებთან და საჯარო შეხვედრებში მონაწილეობდნენ. ჰიტლერს ძარიან ეშინოდა თავდასხმის, განსაკუთრებით არშემდგარი ტერაქტის შემდეგ. ორეულების არსებობას ნაცისტებიც ადასტურებდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, რუსებმა რაიხსტაგში აღოღფ ჰიტლერისა და ევა ბრაუნის 4 გვამი იპოვეს – ბუნკერში და ბუნკერს გარეთ. რუსებმა ბუნკერში ნაპოვნი ჰიტლერი გადაასვენეს მოსკოვში, თუმცა ექსპერტიზის შემდეგ განაცხადეს, რომ აღნიშნული ადამიანის გვამი ჰიტლერზე 5 სმ დაბადი იყო. რუსი ფოტოგრაფი, რომელმაც ბუნკერში ისტორიული ფოტოები გადაიღო, ამტკიცებს, რომ თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ მის წინაშე ორეული იყო. პირველ რიგში მან დახეურ წინდებს მიაქცია ყურადღება, მეორე რიგში – კბილის პროტეზს, რომელიც დამაგრებული კი არ იყო, არამედ უშუალოდ ჩადგმული ჰქონდა პირში. ხოლო ევა ბრაუნს ძარიან მოუვლელი პირის ღრუ ჰქონდა, რაც ასევე ბადებს ეჭვს.

თავშესაფარი არგენტინაში

ბასტის მტკიცებით, თავშესაფარს ფიურერისთვის ერთგური ნაცისტები 1943 წლიდან ამზადებდნენ, ოპერაცია მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. არგენტინაში ყარბ პირებზე იხსნებოდა საბანკო ანგარიშები, მცირე კომპანიები, ყიდულობდნენ ფირმებს, ამზადებდნენ გადასასვლელ პუნქტებს. პარადიდურად მოკავშირეებთან აწარმოებდნენ მორაპარაკებებს, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მესამე რაიხის ოქროსა და უნიკალური ტექნოლოგიების სანაცვლოდ ჰიტლერს და მის გარემოცვას ხერს არ ახდებდნენ.

1945 წლის აპრილის ბოლოს დაიწყო ოპერაცია „სერადი“ – ცეცხლმოკიდებული ბერლინიდან რამოდენიმე თვითმფრინავმა გააღწია და ნაცისტური ერიტა ესპანეთში გადაიყვანა. ეს გამოცდილ ფრინავთა გუნდმა მოახერხა, მათ შორის იყო საუკეთესო პილოტი ქარი ჰანა რაიჩი. ესპანეთიდან ნაცისტები წყარქვეშა ნავებით არგენტინისკენ გამეგზავრნენ. ავტორის მტკიცებით, იმ ადგილას, სადაც ჰიტლერი ნაპირზე გამოვიდა, (კარეტა-დე-დოს-დოროს ყურე) 30 მეტრის სიღრმეზე ნაპოვნია სამი წყარქვეშა ნავი, რომელთა შესახება არგენტინურ სამხედრო არქივებში არაფერია ნახსენები. ჰიტლერი თავისი ამადით წინასწარ მომზადებულ მარშრუტს გაჰყვა. ისინი იმ

ოჯახებში ჩერდებოდნენ, რომლებიც ნაცისტებს უთანაგრძნობდნენ და არგენტინის დიქტატორთან ხუან პერონთან იყვნენ დაახლოვებულები. ერთერთ ასეთ ოჯახთან, ეიკხორნებთან, ჰიტლერი სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა. ამას ამტკიცებენ სახლის მსახურები და მეზაღე, რომელიც აშშ-ზე მუშაობდა.



„საბჭოთა ექსპერტებმა ვერ გამოიტანეს სწორი დასკვნა ჰიტლერის გვამის შესახებ, რადგან დნმ-ის ანალიზი მაშინ არ ტარდებოდა. ნახევრად დამწვარი ყბის ანალიზისას ისინი მხოლოდ ძველი რენტგენის მონაცემებს და ფიურერის პიარადი დანტიისტის ჩვენებებს დაყრდნენ. სიმართლის დადგენას გენეტიკური ანალიზი დაეხმარება. ჰიტლერის დნმ –ი მისი დის, პაულა ჰიტლერის დნმ– ს უნდა შევადაროთ, რომელიც ბერგფრიდხოფშია დაკრძალული. მაგრამ რუსეთი ამამე დღემდე უარს აცხადებს.

არსებობს აშშ-ს და ბრიტანეთის უშიშროების სამსახურების რამოდენიმე საიდუმლო პატაკი ცოცხალი ჰიტლერის შესახებ, თუმცა სამწუხაროდ, აშშ-მ, ბრიტანეთმა და რუსეთმა დღემდე არ გაასაჯაროვეს ყველა მასაღა, რომელიც ამ თემას ეხება. სტარინს

სიკვდილამდე, ანუ 1953 წლამდე არ სჯეროდა, რომ ჰიტლერმა თავი მოიკრა და ამის შესახებ 1945 წელს მოკავშირეებსაც განუცხადა. არსებობს იოსებ სტალინის 3 სტენოგრაფიული ჩანაწერი (ერთერთი აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან ბირნსთან), სადაც სსრკ-ს მმართველი პირდაპირ ამბობს, რომ ჰიტლერმა მიმადვა მოახერხა. 15 წლის განმავლობაში მე ასობით ადამიანი გამოვკითხე, რომლებიც ჰიტლერის არგენტინაში ყოფნის მოწმეები იყვნენ. უმეტესობა ახდა აღაპარაკდა, როდესაც ნაცისტთა დიდი ნაწილი ცოცხალი აღარაა. შემონახულია ასევე ნაცისტი გენერალი ზეიდრიცის 1956 წლით დათარიღებული წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ არგენტინაში ჰიტლერისა და ხორვატელი ნაცისტის პავლეიჩის შეხვედრას უნდა დაესწროს.

არ არსებობს არც ერთი მოწმე, რომელმაც ნახა, რომ ფიურერმა მართლაც დადია ციანიდი და თავში ტყვია დაიხადა. ფიურერის თვითმკვლელობის ისტორია მისმა გარემოცვამ გამოიგონა. ჰიტლერი მუღრესთან ერთად ჯერ პატაგონიაში ცხოვრობდა, შემდეგ კი არგენტინის ჩრდილოეთ პროვინციაში გადაბარგდა. ის გამუდმებით პირადი მცველების გარემოცვაში ცხოვრობდა, თუმცა მისი ცხოვრება მაინც საკმაოდ კომფორტული იყო. ჰიტლერი არგენტინის სხვადასხვა წერტილებში ნაცისტებთან მართავდა შეხვედრებს. მან წვერი მოიპარსა და თმა გადაიღო, რის გამოც მისი ცნობა იორი აღარ იყო. „- ამტკიცებს აბელ ბასტი.

მკვლევარი ირწმუნება, რომ რუსეთის არქივებში დაცულია საბუთები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ჰიტლერმა ბერლინიდან თავი დააღწია. სურ ახრახანს აშშ-მ ეროვნული უსაფრთხოების მიზებით კიდევ 20 წლით დახურა ოფიციალური მასალები, რომლებიც ამ ამბავს ნათერს მოჰყენდნენ. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამაც გადახედა დოკუმენტებს და საიდუმლოს გასაჯაროების ვადა კიდევ 60 წლით გადაწია. მკვლევარები ვერ იღებენ საჭირო ინფორმაციას ისტორიის ამ მნიშვნელოვანი მონაკვეთის შესახებ, რაც თავის მხრივ ამტკიცებს დასკვნას ნაცისტი დიდურების გაქცევის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში რა აზრი აქვს საბუთების გასაიდუმლოებას? ბასტის თქმით, ჰიტლერი აშშ-ს სჭირდებოდა, ზუსტად ამ ქვეყანამ შეიფარა 300 ათასამდე გერმანელი, რომელიც მომავალში ამერიკას სსრკ-სთან „ცივი ომის“ წარმოებაში გამოადგებოდნენ. გარდა ამისა, ნაცისტები

სერიოზურ ტექნოლოგიურ ცოდნას ფლობდნენ, რაც ასევე არ იყო ამერიკისთვის ურიგო.

აბერ ბასტი ჰიტლერის სამარხის მოძებნას აპირებს.

ამერიკის მთარველობის ვერსიას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ახდახანს აშშ–ს დაზვერვამ გაასაჯაროვა საბუთი –კონვენტში მოთავსებულია სს–ის ყოფილი ჯარისკაცის, ფიდიპ სიტროენის პატაკი და აღორფ ჰიტლერთან გადაღებული ერთობრივი ფოტოსურათი. სურათი 1954 წლით არის დათარიღებული. სიტროენი იუწყებოდა, რომ 1955 წელს ჰიტლერი საცხოვრებლად კოლუმბიიდან არგენტინაში გადავიდა...

ჰიტლერი და ანტარქტიდის საიდუმლო ბაზა

უნგრეთის მკვიდრი **ღადისრაო ზსაბო (Ladislao Zsabó)** წყარქვეშა ნავის U-530 შემოსვლისა და ნაცისტური რიდერების გადმოსვლის უნებრივ მოწმე გახდა. მან გაიგონა, რომ საუბარი [ანტარქტიდაში მდებარე გერმანურ ბაზაზე](#) იყო, რის საფუძვედმაც დაასკვნა, რომ ჰიტლერმა ყინულებში გადამადურ საიდუმლო ბაზას შეაფარა თავი. მოგვიანებით ღადისრაოვმა მესამე რაიხის შესახებ წიგნი დაწერა, სადაც ჰიტლერის საცხოვრებელ ადგილად დასახელებულია „მოდების დელოფდის“ მიწის რაიონი, რომელსაც გერმანელებმა ახალი შვაბია შეარქვეს. Neuschwabenland –ის ტერიტორია 1938/39 წწ. გერმანურმა ექსპედიციამ შეისწავრა, დღემდე შემონახულია რუკები, სადაც მიწერილია, რომ ამ მიწას „შვაბენდენდია“ ჰქვია.

მიტოვებული ფიურერი

1948 წელს ბორმანმა და მიურერმა ევროპაში ყველა საიდუმლო საქმე მოათავეს და არგენტინაში გამოჩნდნენ. ბორმანი მღვდლის ფორმაში იყო გამოწყობილი და „მამა ავგუსტინედ“ წარადგენდა თავს. ხშირად სტუმრობდა ჰიტლერს, მართავდა მეოთხე რაიხის აღდგენისთვის შექმნილ იატაკქვეშა ნაცისტურ სტრუქტურას. ამას ამტკიცებენ ისტორიკოსები, მკვლევარები, „რუხი მგლის“ წიგნის ავტორები საიმონ დანსტენი და ჯერარდ უილიამსი, რომლებიც მრავალ მოწმეს გაესაუბრნენ, უამრავი დოკუმენტი შეისწავდეს და საკუთარი

გამოძიება ჩაატარეს.



მათი მტკიცებით, ბოლო წლებში ფიურერის ჯანმრთელობა გაუარესდა. მხიარულმა და შედარებით ახარგაზრდა ევა ბრაუნმა დაუძღვრებული მეუღლე მიატოვა და [მათ ორ შვიდთან ერთად ე. ნეუკენში გადაბარგდა](#). მეგობრებიც იშვიათად სტუმრობდნენ. მეცნიერების ვარაუდით, აღორფ ჰიტლერს პარკინსონის დაავადება განუვითარდა, რისი ნიშნებიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში იკვთებოდა. 1962 წელს ჰიტლერს სახის ნახევარი წაერთვა. ყოფილი დიქტატორი საათობით იჯდა და შორეულ მთებს გაჰყურებდა. ექიმ რემანის თქმით, დამდამობით კოშმარები ესიზმრებოდა, ეღანდებოდნენ დასახიჩრებული ადამიანები, გვამებით მოფენილი მინდვრები, მკვდრები მისკენ იშვრდნენ ხედს და მის დადანაშაულებას ცდილობდნენ. 1962 წლის თებერვარში ჰიტლერი ინსურტის შედეგად გარდაიცვალა...

1943 წლიდან მესამე რაიხის ხერმდვანერობამ ნაცისტების ომის შემდგომი ბაზის შექმნაზე დაიწყო მუშაობა. ყარბი პირების მეშვეობით ათასამდე კორპორაცია შეიქმნა; მათ შორის 234 შვეიცარიაში, 233- შვედეთში, 112 - ესპანეთში, 98 - არგენტინაში, 58 პორტუგალიასა და 35 - თურქეთში. თანხებს

აბანდებდნენ საბანკო სისტემაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში. ნაციისტებმა ასევე შექმნეს პოლიტიკური და სადაზვერვო სტრუქტურები. როგორც საიმონ დანსტენი და ჯერარდ უილიამსი ამტკიცებენ, ბორმანი პოლიტიკას მოსცილდა და „ორგანიზაციის“ კაპიტალის გამრავლებით დაკავდა, მსოფლიო მასშტაბის ბიზნესმენი გახდა. ბუენოს აირესში მაცივარ- დანადგარების საწარმოს ამოფარებული ბორმანი მთელს მსოფლიოში მსხვილ საფინანსო ოპერაციებს ახორციელებდა...



ჰერმან გუნტერბერგი და ადოლფ ჰიტლერი

ცოტა ხნის წინ არგენტინის ე. სარტოში კიდევ ერთი „ჰიტლერი“ გამოჩნდა. 128 წლის ჰერმან გუნტერბერგი ამტკიცებს, რომ სინამდვილეში ის ადოლფ ჰიტლერია და ავტობიოგრაფიულ წიგნს წერს. მამაკაცი ირწმუნება, რომ არგენტინაში 1945 წელს ჩამოვიდა ყაღბი პასპორტით, რომელიც გესტაპომ დაუმზადა. ამ ხნის განმავლობაში ის ღუმიდა, თუმცა ახლა, როდესაც ნაციისტებზე დევნა თითქმის შეწყდა, მან სიმატდის გამჟღავნება გადაწყვიტა. მისი მეუღლის თქმით, მამაკაცს ბოლო დროს ადვოკატის სინდრომი დაუდგინეს, ის ხშირად საუბრობს ნაციისტებსა და ებრაელებზე. „შესაძლოა, მეუღლეს ნაციისტური წარსული მართლაც ჰქონდა, რომელიც ახლა აწუხებს, მაგარამ არა მგონია, მართლაც ჰიტლერი იყოს. ხანდახან მეც ვერ მცნობს ხოლმე.“ – ამბობს ჰერმან გუნტერბერგის მეუღლე. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ჰერმან გუნტერბერგი ჰიტლერის ერთერთი ორგულია...

www.premiumi.ge